ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 301

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 სექტემბრის №19.979.1266 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 185000 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ქ. თბილისში, ტყვარჩელის ქ. №5-ში მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ №1, №2, №3 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.10.13.040.058) და ქ. თბილისში, ტყვარჩელის ქ. №5-ში მდებარე 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.10.13.040.099) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტთან" (ს/ნ: 404438649) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე